



დიპლომატი



დიპლომატიური კლუბის სასწავლო პროექტი

სპექ გამოშვება | 11 ნოემბერი 2014

გერმანია

Deutschland



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა



დევიზი: „Einigkeit und Recht und Freiheit“
„ერთიანობა, სამართალი, თავისუფლება“



ზოგადი ინფორმაცია

გერმანია, ოფიციალურად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გერმ. Bundesrepublik Deutschland) — ქვეყანა ცენტრალურ ევროპაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება — ჩრდილოეთის ზღვა, დანია და ბალტიის ზღვა, აღმოსავლეთით — პოლონეთი და ჩეხეთი, სამხრეთით — ავსტრია და შვეიცარია, ხოლო დასავლეთით — საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. მისი ფართობია 357021 კმ . 2008 წლის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა 82 060 000 კაცი.

სახელწოდება

• ოფიციალური: ქართულად — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; გერმანულად — Die Bundesrepublik Deutschland.
• ეტიმოლოგია — ლათინურად — Germania, მომდინარეობს Ger, Germani, Germanus-დან, რაც



გალების კელტური ტომის ენაზე „მეზობელს“ ან „ძმას“ უნდა ნიშნავდეს. გერმანულად – Deutschland, ეს სახელი უკავშირდება ძველ გერმანულ სატომო სახელს — Diutisce-ს. ფრანგულად — Allemagne, ალემანებიც ერთ-ერთი გერმანული სატომო სახელია, alle man „ყველა ადამიანს“ ნიშნავს. სლავურ ენებზე — Niemcy, Nemecko, მომდინარეობს სიტყვა „მუნჯისაგან“ ანუ მეტაფორულად გულისხმობს მათ, ვისაც „ჩვენი ენა არ ესმის“. გერმანიის ისტორია. გერმანია

1919-1937 წლებში • გერმანია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1945 წელს გაყოფილ იქნა 4 საოკუპაციო ზონად. 1949 წელს ამერიკული, ფრანგული და ბრიტანული ზონებისაგან — შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბჭოთა ზონისაგან — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 1961 წელს



ალიმართა ბერლინის კედელი. ეროვნული საზღვრები გახსნილ იქნა 1989 წელს, ოფიციალურად გერმანიის გაერთიანება გამოცხადდა 1990 წლის ოქტომბერში. გაერთიანებული გერმანიის პირველ კანცლერად აირჩიეს ჰელმუტ კოლი.

გერმანიის გეოგრაფია



გერმანია ცენტრალური ევროპის ქვეყანაა, რომლის გეოპოლიტიკური მდგომარეობა არაერთხელ შეიცვალა გასულ საუკუნეში. რელიეფში მკვეთრად არჩევენ სამ საფეხურს, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თანდათან მალდება. უმაღლესი მწვერვალია ცუგშპიცე, ქვეყნის სამხრეთში. ენერგეტიკული რესურსებით ქვეყანა შედარებით ღარიბია, მართალია, იგი მდიდარია ქვანახშირით, მაგრამ ღარიბია ნავთობითა და გაზით. მნიშვნელოვანია ჰიდრორესურსები. კლიმატი ძირითადად ოკეანური. ძლიერია ატლანტის

ოკეანის გავლენა. ქვეყნის ტერიტორიაზე ევროპის არაერთი მნიშვნელოვანი მდინარე გაედინება. მდ. რაინი ქვეყნის „მთავარი სამრეწველო ქუჩაა“. ბოდენის ტბას იგი მის ორ სამხრეთელ მოზოხელთან იყოფს. ქვეყანაში, განსაკუთრებით მისი სამრეწველო რაიონებში, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებია. მოსაზღვრე ქვეყნებია: დანია, პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ბელგია, ნიდერლანდი.

• ფართობი — 357 021 კმ². საზღვრები: საზღვაო — 892 კმ; სახმელეთო — 3 767 კმ.

• ბუნება: გეოგრაფიული რაიონები — ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობი, ცენტრალური გერმანიის ზეგანი მრავალრიცხოვანი მდინარეებით, სამხრეთ გერმანიის ნაყოფიერი დაბლობები, ბავარიის ალპები.

• მთის სისტემები — ბავარიის ალპები, ჰარცი, ერცგებირგე, ტაუნუსი.

• უმაღლესი მწვერვალები (მ) — ცუგშპიცე 2.962, ჰოხვანერი 2 746;

• მთავარი მდინარეები (კმ) — რაინი 865 (სულ 1 320), ელბა 700 (სულ 1 165), დუნაი 647 (სულ 2 858), მაინი 524;

• მთავარი ტბები (კმ) — ბოდენის ტბა 305 (სულ 571), მიურიცი 110, კიმზეე 80;

• მთავარი კუნძულები (კმ²) — რიუგენი 930, უზედომი 373 (სულ 445), ფემარნი 185; კლიმატი — ატლანტიკური.

• ბუნებრივი რესურსები — რკინის მადანი, ქვანახშირი, საშენი ხე-ტყე, ურანი, სპილენძი, ბუნებრივი აირი, მარილი, ნიკელი, სასოფლო-სამეურნეო მიწები.



კლიმატი

გერმანიის კლიმატი ზომიერია. ჩრდილოეთით ზღვიური ჰავაა გაბატონებული, დანარჩენ ტერიტორიაზე ზღვიურიდან კონტინენტურზე გარდამავალი. ჩრდილო-აღმოსავლეთით შესამჩნევია ატლანტის ოკეანის გავლენა, სამხრეთ-აღმოსავლეთით იზრდება კონტინენტური ჰავა. სიცხე ძირითადად აღინიშნება მაღალ სიმაღლეზე, მთებში, სამხრეთ საზღვარზე (-6 °C) . რაინის ხეობაში მდელოები და ველები ზამთარშიც მწვანეა. იქ თოვლი იშვიათად მოდის და ისიც მალე დნება. ივლისის ყველაზე ცხელი თვეა. ამ თვის საშუალო ტემპერატურა 16 °C-დან 20 °C-მდე მერყეობს. ვაკე ადგილებში

ყოველწლიურად მოდის 500-600 მმ ნალექი, მთებში 900, 1100 მმ.

ყველაზე მშრალი ამინდი იცის მარტში, ყველაზე წვიმიანი — ივლისში. რაც შეეხება მზიანი დღეების რაოდენობას, იგი დეკემბერში დღეში საშუალოდ 1,1 სთ-ია, ივნისში 8,1 სთ.

შიდა წყლები

მდინარეებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელებისთვის. ისინი ვაჭრობისა და სატრანსპორტო გადაზიდვებისთვის აქტიურად გამოიყენება. გერმანიის ძირითადი მდინარეებია: რაინი, ელბა, მაინი, დუნაი. მდინარეების უმეტესობა სანაოსნოა. სატრანსპორტო შესაძლებლობები მდინარეებზე გაიზარდა არხების მშენებლობის ხარჯზე. ყველა დიდი მდინარე მოედინება სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით, რომლებიც შიდა რაიონებს ზღვასთან აკავშირებენ. გამონაკლისია დუნაი, ის სათავეს იღებს შვარცვალდის მასივში, მიედინება აღმოსავლეთით და ჩაედინება შავ ზღვაში. დუნაი და რაინი განსაკუთრებით წყალუხვია გაზაფხულზე და ზაფხულში, როდესაც დნება თოვლი და მყინვარები. წყალგამყოფები მდინარეებს შორის მაღალი არ არის, რაც იმის საშუალებას იძლევა რომ მდინარეები არხების საშუალებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს.



სახელმწიფო

გერმანია ფედერაციული მმართველოს ქვეყანაა, სადაც მოქმედებს 1949 წელს მიღებული კონსტიტუცია. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს პარლამენტს, ბუნდესტაგს, ირჩევენ ოთხი წლის ვადით და შედგება 496 დეპუტატისაგან. პარლამენტში შეიძლება არჩეულ იქნეს 21 წელს მიღწეული მოქალაქე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება კი აქვს 18 წლის მოქალაქეს. საკანონმდებლო სისტემაში მნიშვნელოვანია ასევე ბუნდესრატის როლი, სადაც შედიან მიწების მთავრობათა წევრები. მთავრობას მეთაურობს კანცლერი. გერმანია მრავალპარტიული ქვეყანაა.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. პრეზიდენს, კონსტიტუციის თანახმად, ირჩევენ 5 წლის ვადით ფედერალურ კრებაზე. ერთი და იმავე კანდიდატურის არჩევა შესაძლებელია მხოლოდ 2-ჯერ.

- სიმბოლოები – ჰიმნი: Das Lied der Deutschen.
- პოლიტიკური სისტემა — ფედერაციული რესპუბლიკა.
- სახელმწიფოს მეთაური — ფედერალური პრეზიდენტი.
- მთავრობის მეთაური — ფედერალური კანცლერი

ანგელა მერკელი.

• საკანონმდებლო ორგანო — ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც შედგება ბუნდესტაგისა (614 წევრი) და ბუნდესრატისაგან (69 წევრი).

• პარტიები — სოციალ-დემოკრატიული პარტია (თავმ. ზიგმარ გაბრიელი, 591 ათასი წევრი), ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (ანგელა მერკელი, 574 ათასი წევრი).

ადმინისტრაციული დაყოფა



გერმანია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად იყოფა 16 ფედერაციულ მხარედ (Bundesland), მათ შორის 5 აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე შეიქმნა, დანარჩენი — დასავლეთ გერმანიაში. გერმანიის მხარეებია (ფრჩხილებში დედაქალაქები):

- ბადენ-ვიურტემბერგი (შტუტგარტი)
- ბავარია (მიუნხენი)
- ბერლინი (მხარე) (ბერლინი)
- ბრანდენბურგი (პოტსდამი)
- ბრემენი (ბრემენი)
- თიურინგია (ერფურტი)
- მეკლენბურგ-წინა პომერანია (შვერინი)
- რაინლანდ-ჰვალცი (მაინცი)

- ზაარლანდი (ზაარბრიუკენი)
- საქსონია (დრეზდენი)
- საქსონია-ანჰალტი (მაგდებურგი)
- შლეზვიგ-ჰოლშტაინი (კილი)
- ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია (დიუსელდორფი)
- ქვემო საქსონია (ჰანოვერი)
- ჰამბურგი (ჰამბურგი)
- ჰესენი (ვისბადენი)

: გერმანიის დემოგრაფია. მოსახლეობის რაოდენობით გერმანია მეორე ქვეყანაა ევროპაში და პირველი - ევროკავშირში. ბუნებრივი ნამატი დაბალია, მნიშვნელოვანია საგარეო მიგრაციის როლი. აქ თითქმის 8 მლნ უცხოელი ცხოვრობს. სიმჭიდროვე და ურბანიზაცია ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოში. მოსახლეობის თითქმის 89% ცხოვრობს ქალაქებში. „რურშტადტი“ მაღალურბანიზებული რეგიონია 10-11 მლნ მცხოვრებით.

- მოსახლეობა — 82, მლნ (2010), მათ შორის 91,5% გერმანელები, 2,4% თურქები. ქვეყანაში 5 მილიონი უცხოელი მუშაა, მათგან 1,6 მილიონი თურქია, დანარჩენი — იუგოსლავები, იტალიელები, ბერძნები.
 - ენა — გერმანული.
 - რელიგია (2004:) — კათოლიციზმი (31,7%), პროტესტანტიზმი (31,3%).
 - დიდი ქალაქები (ათასი მცხ.): ბერლინი (3.274), ჰამბურგი (1.686), მიუნხენი (1.185), კელნი (965), ესენი (589), მაინის ფრანკფურტი (648), დორტმუნდი (588), შტუტგარტი (591), დიუსელდორფი (570), ბრემენი (528), ჰანოვერი (516), დუისბურგი (513), ნიურნბერგი (486), ლაიფციგი (486), დრეზდენი (473).
- გერმანიის ეკონომიკა.



ეკონომიკური პოტენციალით გერმანია უძლიერესი ქვეყანაა ევროპაში, და არამარტო ევროპაში. „დიდი რვიანის“ ქვეყნებს შორის, იგი მხოლოდ აშშ-სა და იაპონიას ჩამორჩება. მომსახურების სფეროს უდიდესი დარგებია ტრანსპორტი და საბანკო-საფინანსო საქმე. ენერტიკა ვითარდება როგორც ადგილობრივ, ასევე შემოტანილ ნედლეულზე. მანქანათმშენებლობა და ქიმიური ინდუსტრია ქვეყნის მრეწველობის წამყვანი დარგებია. მანქანათმშენებლობის წამყვანი სფეროა საავტომობილო ინდუსტრია, დარგის სიძლიერით მას კონკურენტი არა ჰყავს ევროპაში. პირველობით გამოირჩევა ქიმიური ინდუსტრიაც. „ბასცი“ და „ბაიერი“ ქიმიური გიგანტები არიან. აგრობიზნესი უმსვილესია მეზობელი საფრანგეთის ანალოგიური დარგის შემდეგ ევროკავშირში. გერმანია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, მშპ-ს მოცულობით (2.321 ტრილიონი \$) მსოფლიოში მე-3 ადგილი უკავია აშშ-სა და იაპონიის შემდეგ.

- მშპ-ს სტრუქტურა (%) — სოფლის მეურნეობა — 1, მრეწველობა — 32, მომსახურება — 67;
 - ე.ე.პ. (1 სულზე) — 28.280 \$.
 - ექსპორტი — ჩარხები (უდიდესი ექსპორტიორი მსოფლიოში), ავტომობილები, სატრანსპორტო საშუალებები, ელექტრონიკა, სამრეწველო საქონელი, საფეიქრო ნაწარმი, ქიმიკატები, რკინა, ქვანახშირი, პლასტმასა.
 - ბიუჯეტი — 802,000 მლდ \$.
 - ვალუტა — ევრო (EUR); 2002 წლამდე გერმანული მარკა.
 - უდიდესი კომპანიები — დაიმლერ-მერსედეს-ბენცი, ფოლკსვაგენი, აუდი, BMW, პორშე, ოპელი, ზიმენსი, ალიანცი, ადიდასი, აგფა, ბასფ, ლუფტჰანზა,
 - უდიდესი ბანკები — დოიჩე ბანკი, კომერცბანკი, ბაიერიშე ფერაინსბანკი.
- გერმანიის ტურიზმი. მართალია, ტურისტული თვალსაზრისით ევროპის დიდ ოთხეულთან შედარებით (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო) გერმანია მსხვილი ევროპული ქვეყანა არ არის, მაგრამ ეკონომიკის ეს დარგი ბოლო პერიოდში სწრაფი ტემპით ვითარდება. ქვეყანაში ყოველწლიურად ჩამოდის 20-22 მლნ ტურისტი, ძირითადად ნიდერლანდებიდან, აშშ-დან, გაერთიანებული სამეფოდან, შვეიცარიიდან და იტალიიდან. უმნიშვნელოვანისი ტურისტული ადგილებია: ბერლინი, მიუნხენი, კელნი, ბალტიის ზღვის სანაპირო, ჰამბურგი.

ანგელა მერკელი: მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალი



გერმანიის ახლანდელი კანცლერი, ანგელა მერკელი საინტერესო პიროვნება გახლავთ როგორც პოლიტიკური, ისე პირადი ცხოვრების თვალსაზრისითაც. მისი სრული სახელი და გვარია ანგელა დოროთეა მერკელი(ქალიშვილობის გვარი კასნერი), დაიბადა 1954 წლის 17 ივლისს გერმანიის ქალაქ ჰამბურგში, ამჟამად არის მეორე ქორწინებაში იოახიმ ზაუერთან, ხოლო პირველი მეუღლე გახლდათ ულრიხ მერკელი. რაც შეეხება მის პოლიტიკაში მოღვაწეობას: იგი 2005 წლიდან დღემდე არის გერმანიის პირველი ქალი-კანცლერი, მანამდე კი 1991-1994 წლებში იყო გერმანიის ახალგაზრდობისა და ქალთა მინისტრი, შემდეგ 1994-1998 წლებში გერმანიის გარემოს დაცვის მინისტრი, 1990 წლიდან არის გერმანიის პარლამენტის წევრი. ანგელა მერკელი ბოლო პერიოდში თითქმის ყოველთვის ხვდება ჟურნალ "Forbes"-ის მსოფლიოს გავლენიანი ადამიანების სიაში. რამდენიმე წელია კი მერკელი მსოფლიოს ნომერ პირველი გავლენიანი

ქალბატონია.

გერმანიის კანცლერი სპორტის აქტიური მხარდამჭერიცაა. 2014 წლის ბრაზილიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში იგი ხშირად ხვდებოდა კამერების ობიექტივში გერმანიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მატჩების დროს, სადაც ენერგიას არ იშურებდა თავისი საყვარელი გუნდის გულშემატკივრობისათვის. გერმანიის ეროვნული ნაკრების გამარჯვების შემდეგ ანგელა მერკელის



სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და იგი გამარჯვებულ ფეხბურთელებთან ერთად ყურადღების ცენტრში მოექცა. მსოფლიოს ნომერ პირველი ქალბატონი არც ზეიმებზე და მოლხენაზე ამბობს უარს, უყვარს ლუდი და მოგზაურობა. აი, ასეთი პოპულარული და მრავალფეროვანია გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი.



დოქ. ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი-გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი (გერმ. Frank-Walter Steinmeier; დ. 5 იანვარი 1956, დეტმოლდი, ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალია, გერმანია) — გერმანელი პოლიტიკოსი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 2005-2009 წლებში და ასევე, ვიცე-კანცლერი 2007-2009 წლებში. იგი არის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 2009 წლის არჩევნებში იყო კანდიდატი კანცლერის პოსტზე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

2013 წლის დეკემბერში: მეორედ გახდა გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი

ავტობიოგრაფია
1956 წლის 5 იანვარი:
დაიბადა დეტმოლდში, ლიპეს ოლქში
1966-1974: სწავლობდა ქალაქ ბლომბერგის გიმნაზიაში
1974-1976: გაიარა სამხედრო სამსახური

1976-1982: სწავლობდა ქალაქ გისენის იუსტუს ლიბიხის სახელობის უნივერსიტეტში სამართალს, ხოლო 1980 წლიდან პოლიტიკურ მეცნიერებებს. 1982: ჩააბარა პირველი სახელმწიფო გამოცდა სამართალში

1983-1986: გაიარა წინასადისერტაციო იურიდიული პრაქტიკა ფრანკფურტსა და გისენში 1986: დაიცვა დისერტაცია სამართალში

1986-1991: მუშაობდა გისენის უნივერსიტეტში მეცნიერ-მუშაკად საჯარო სამართლის და პოლიტიკური მეცნიერებების განხრით.

1991: ქვემო საქსონიის სახელმწიფო კანცელარიაში მედია სამართლისა და პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი

1993-1994: ქვემო საქსონიის პრემიერ-მინისტრის პირადი ბიუროს ხელმძღვანელი

1994-1996: სახელმწიფო კანცელარიის პოლიტიკური დირექტივების, უწყებათაშორისი კოორდინირებისა და დაგეგმვის განყოფილების ხელმძღვანელი.

1996-1998: ქვემო საქსონიის სახელმწიფო მდივანი და სახელმწიფო კანცელარიის ხელმძღვანელი

1998-1999: ფედერალური სახელმწიფო მდივანი, ფედერალური დაზვერვის სამსახურის კურატორი.

1999-2005: ფედერალური კანცელარიის უფროსი 2005 წლის ნოემბრიდან-2009 წლის ოქტომბრამდე- საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი 2007 წლის ნოემბერი- 2009



წლის ოქტომბერი- გერმანიის კანცლერის მოადგილე 2009-2013 გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე 2013 წლის დეკემბრიდან: საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი

გ ე რ მ ა ნ ი ს ს ა გ ა რ ე ო ს ა ქ მ ე თ ა ფ ე დ ე რ ა ლ უ რ ი მ ი ნ ის ტ რ ი დ ო ქ . ფ რ ა ნ კ - ვ ა ლ ტ ე რ შ ტ ა ი ნ მ ა ი ე რ ი თავისი 2-ჯერ მინისტრობის პერიოდში საქართველოში რამოდენიმეჯერ იმყოფებოდა და თავისი დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და გერმანიის ორმხრივ ურთიერთობებში, მუდმივად მხარს უჭერს საქართველო სდამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ყველაფერი, კიდევ ერთხელ, მეტყველებს საქართველოსა და გერმანიას შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებსა

და ჩვენს შორის არსებულ ინტენსიურ დიალოგზე. გერმანელი მინისტრი სხვადასხვა შეხვედრაზე ქართულ მხარესთან ერთად სისტემატურად ეხებოდა როგორც ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს, ასევე რეგიონში შექმნილ ვითარებას, საქართველო-

ევროკავშირისა და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო - ნ ა ტ ო ს თანამშრომლობის საკითხებს. გერმანელი მინისტრის თითოეული ვიზიტი საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მიმართ მტკიცე მხარდაჭერის ნათელი დადასტურებაა. უკანასკნელად გერმანელი მინისტრი საქართველოს თავის ფრანგ კოლეგასთან ლორან ფაბიუსთან ერთად სტუმრობდა 2014 წლის აპრილის ბოლოს. სამუშაო შეხვედრებზე მინისტრებმა NATO-სა და ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება. ისაუბრეს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დეტალებზე. ევროპელმა დიპლომატებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს მიმართ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა: „რაც შეეხება ევროპულ ინტეგრაციას და კანდიდატის სტატუსს, მე ვფიქრობ, რომ ახლა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს უნდა ყველამ გაითვალისწინოს და გაიაზროს, ეს არის უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი ქვაკუთხედი და არ უნდა

დავივიწყოთ. ხოლო რა მოხდება 10, 15 თუ 20 წლის შემდეგ, ამას ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ. ჩვენ ახლა ვიმყოფებით ასოცირების შეთანხმების გაფორმების წინა სტადიაზე, ხოლო რა მოხდება მომდევნო წლებში არა მხოლოდ ბრიუსელში, ბერლინში,

პარიზში გადასაწყვეტი არის, არამედ მათ შორის საქართველოშიც". „ეს საქართველოს მიერ აღებული ევროატლანტიკური გეზის კიდევ ერთი მხარდაჭერა იყო გერმანელი სტუმრის მხრიდან“. გერმანელმა დიპლომატმა არაერთხელ აღნიშნა, რომ "გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთი ჩვენთვის არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი".



"ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ამ კონფლიქტის მოგვარებას", - აღნიშნა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი. გერმანელი დიპლომატი ყველა შეხვედრაზე ცალსახად აფიქსირებს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ალტერნატივა არ აქვს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ჯერ კიდევ გაზაფხულზე იყო დარწმუნებული, რომ ივნისში საქართველო ევროკავშირთან აუცილებლად მოაწერდა ხელს ასოცირების ხელშეკრულებას. შტაინმაიერმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორენ ფაბიუსთან საქართველოში ერთობლივი ვიზიტის დროს ცალსახად დააფიქსირა თავისი პოზიცია ამ მნიშვნელოვან ვიზიტთან დაკავშირებით: "მე ვფიქრობ ერთობლივი

ვიზიტი აქამდე არ ყოფილა. ჩვენ პირველად ვიმყოფებით საქართველოში ასეთი ვიზიტით. სიამოვნებით ვსარგებლობ ამ მომენტით და მინდა დავაფიქსირო ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს მისამართით. მე აქ წლების წინ ვიყავი, მაშინ ძალიან რთული პერიოდი იყო, მაგრამ კარგად მახსენდება ის პერიოდი. ძალიან ბევრი რამ შეცვლილია ქვეყანაში, არა მხოლოდ ქალაქის ინტერიერის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურ ქრილში. განახლდა პოლიტიკური სპექტრი, მოხდა კორუფციის დაძლევა და ა.შ. ეს არის გზა, რომელსაც ამ ზაფხულს ოფიციალურად გავაფორმებთ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით. არანაირი ეჭვი არ არსებობს და დარწმუნებული ვარ, ივნისში ასოცირების ხელშეკრულებას ხელი აუცილებლად მოეწერება", - თქვა შტაინმაიერმა. შტაინმაიერის თქმით, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ძალისხმევა მიმართული ხელშეკრულების იმპლემენტაციაზე უნდა იქნეს. "საქართველო და ნატო უახლოვდებიან ერთმანეთს", - განაცხადა ქართველ კოლეგასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.

"რაც შეეხება ნატო-ს და ნატო-ს გაფართოებას, თქვენ კარგად უნდა გაიაზროთ და გაგებით უნდა მოეკიდოთ, რომ ეს კითხვები ნატო-ს გაფართოების კუთხით, ბუნებრივია ნატო-ს წევრ ქვეყნებში უნდა განიხილოთ.

საქართველო და ნატო უახლოვდებიან ერთმანეთს. ნატო აუცილებლად მოიძიებს სათანადო ინსტრუმენტს იმისთვის, რომ მკაფიოდ გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია", - თქვა შტაინმაიერმა. ძალზე საგულისხმო განცხადება გააკეთა გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

„გერმანიის გაერთიანება ედუარდ

შევარდნაძის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა“, - ამის შესახებ განცხადება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა გაავრცელა. როგორც შტაინმაიერმა განცხადებაში აღნიშნა, ედუარდ შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში კონტინენტის ისტორიაში საკუთარი წვლილი შეიტანა. „როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტი, შევარდნაძემ საკუთარი სახელი ჩვენი კონტინენტის ისტორიაში შეიტანა. გერმანიის გაერთიანება მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მსოფლიო შევარდნაძის სახით კარგავს ადამიანს, რომელმაც ისტორიული ცვლილებების დროს სიმამაცე და შორსმჭრეტელობა გამოიჩინა“, - აღნიშნა შტაინმაიერმა.

საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი



ბიოგრაფია

გერმანიის ელჩის ბიოგრაფია
გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის

საგანგებო და
სრულუფლებიანი ელჩი: მისი
აღმადგენლობა ბ-ნი ორტვინ
ჰენიგი

ორტვინ ჰენიგი (Ortwin Hen-
nig) დაიბადა 1950 წლის 23
მარტს ბილფელდში, ჰყავს
მეუღლე და 2 შვილი

1968 – დაამთავრა სკოლა
1968 – 1976 სწავლა

უნივერსიტეტში:

პოლიტოლოგია, ისტორია და
სამართალმცოდნეობა

1969 – 1971 სამხედრო

სამსახური (საკონტრაქტო)

1976 - დიპლომი

პოლიტოლოგიაში

1976 – 1978 მომზადება

საგარეო საქმეთა

სამინისტროს მაღალი რანგის

სამსახურისათვის

1978 – 1981 გერმანიის

საგარეო საქმეთა სამინისტრო

1981 – 1982 გერმანიის

საელჩო ქაბულში

1982 – 1985 გერმანიის

საელჩო მოსკოვში

1985 – 1988 გერმანიის

მუდმივი წარმომადგენლობა

ევროკავშირში, ბრიუსელი

1988 – 1989 ნატოს

თავდაცვის კოლეჯი რომში
1989 – 1991

გერმანიის საგარეო საქმეთა
სამინისტრო, დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

1991 – 1992 ევროპაში

ჩვეულებრივი შეიარაღების
შესახებ მოლაპარაკებების

დელეგაციის

ხელმძღვანელის მოადგილე

ვენაში 1992 – 1997 ეუთოს

დელეგაციის ხელმძღვანელის

მოადგილე ვენაში

1997 – 2000 გერმანიის

ფედერალური პრეზიდენტის

კანცელარია, დეპარტამენტის

უფროსი 2000 – 2004

გერმანიის საელჩო მოსკოვში,

დესპანი ეკონომიკის

დარგში 2004 – 2006

გერმანიის საგარეო საქმეთა

სამინისტრო, რწმუნებული

სამოქალაქო კრიზისების

პრევენციის, კონფლიქტების

მოგვარებისა და მშვიდობის

კონსოლიდაციის

საკითხებში 2006 – 2009

აღმოსავლეთ-დასავლეთის

ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი

და კონფლიქტების

პრევენციის პროგრამის

დირექტორი ბრიუსელში

2010 წლის 14 მაისიდან

-გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკის ელჩი

საქართველოში.



საქართველოში
გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საგანგებო
და სრულუფლებიანი
ელჩი მისი

აღმადგენლობა ორტვინ

ჰენიგის პასუხები

ჟურნალის კითხვებზე

ორმხრივი ურთიერთობები:

გერმანულ-ქართულ

ურთიერთობებს დიდი

ხნის ტრადიცია აქვთ.

კონტაქტები გერმანელებსა

და ქართველებს შორის

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში

არსებობდა. ისტორიული

წყაროები ადასტურებენ,

რომ გერმანელი ერის

საღვთო რომის იმპერიის

იმპერატორ ფრიდრიხ

I ბარბაროსას კავშირი

ჰქონდა საქართველოს მეფე

გიორგი მესამესთან და

მის ქალიშვილ თამართან,

რომელიც მოგვიანებით

საქართველოს მეფე გახდა.

გერმანიასა და საქართველოს

შორის კონტაქტები

განსაკუთრებით ინტენსიური

გახდა მე-19 საუკუნეში,

როდესაც საქართველოში

გერმანელი კოლონისტები

დასახლდნენ და

მნიშვნელოვანი წვლილი

შეიტანეს საქართველოს

განვითარებაში. მათ შორის

იყო ბევრი გერმანელი

მკვლევარი, მოგზაური,

მენარმე, მხატვარი და

არქიტექტორი. ბევრ ადგილს

გერმანული გავლენა

დღესაც ეტყობა. 2017 წელს



საქართველო და გერმანია ერთობლივად აღნიშნავენ იუბილეს: საქართველოში გერმანელი კოლონისტების ჩამოსვლის 200 წლისთავს.

კულტურული ურთიერთობების გარდა ჩვენ ქვეყნებს ასევე ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ. 1992 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა საქართველოსთან. გერმანიას დღემდე დიდი წვლილი შეაქვს საქართველოში მიმდინარე იმ რეფორმებსა და ტრანსფორმაციის პროცესებში, რომლებიც ხორციელდება პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების სფეროებში.

გერმანია ასევე მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხითაც. მიმდინარე წლის ივნისში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველო დაადგა ევროპაში დასაბრუნებელ გზას.

მიმდინარე წლის დიპლომატიური ვიზიტები

ასევე ცხადყოფენ კარგ და ნაყოფიერ ურთიერთობებს - აპრილში საქართველოს ერთობლივად ეწვივნენ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებიც ხშირად სტუმრობენ გერმანიას, მაგალითად ივნისში გერმანიაში პრემიერი ლარიბაშვილი იმყოფებოდა. ფედერალურმა კანცლერმა მერკელმა კი მიიღო საქართველოში მოწვევა.

უკვე წლებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აშშ-ს შემდეგ სიდიდით მეორე ბილათერალური დონორი ქვეყანა არის საქართველოსთვის. გარდა ამისა გერმანია 30%-ით მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ეს წარმოადგენს საქართველოსადმი ჩვენი დიდი ხნის მეგობრული დამოკიდებულების გამოხატულებას და ადასტურებს ჩვენს ინტერესს ქვეყნის პოლიტიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური განვითარებისადმი. პოტენციური გერმანელი ინვესტორებისათვის საქართველო საინტერესო ქვეყანაა, რისი დასტურიც არის გერმანული ფირმების მზარდი ინტერესი საქართველოსადმი.



შთაბეჭდილებები საქართველოზე:

მე და ჩემს მეუღლეს ძალიან მოგვწონს თბილისში ცხოვრება. თბილისი მომხიბლავი, ძალიან მწვანე ქალაქია კეთილი და სტუმართმოყვარე ადამიანებით. შთაბეჭდავია ქალაქში სხვადასხვა კულტურული გავლენის ერთობლიობა. მაგრამ საქართველო უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ თბილისი.

საქართველო არის ასევე სხვადასხვა რეგიონები, განსხვავებული და მრავალფეროვანი ბუნებით, კულტურის უძველესი ძეგლებითა და ტრადიციებით, უგემრიელესი სამზარეულოთი და არაჩვეულებრივი მუსიკით, თავისი მრავალფეროვანი კულტურული, რელიგიური და შემოქმედებითი გამოხატულებებით, მაგრამ პირველ რიგში თავისი განსხვავებული ადამიანებით. საქართველოში მიზიდავს არა რომელიმე ერთი კონკრეტული ადგილი, არამედ უფრო მისი ხალხი. ყოველ დღე ვხვდები სხვადასხვა ადამიანებს, რომლებიც ისეთი სიცოცხლის სიყვარულითა და სითბოთი მეგებებიან, სხვაგან რომ არ მინახავს. ბევრი სხვადასხვა კულტურა და ქვეყანა მაქვს ნანახი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილ დაიკავებს ჩემს გულში.

საქართველო - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობები



საქართველო-გერმანია

გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1991 წელს აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და 1992 წელს საელჩო გახსნა თბილისში. გერმანელებსა და ქართველებს შორის მჭიდრო და ნდობით გამსჭვალულ ურთიერთობებს თითქმის 200 წლიანი ტრადიცია აქვს. გერმანიაში დაუვინყარია პრეზიდენტ შევარდნაძის წვლილი თავისუფალი გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებაში. თავის მხრივ გერმანია საქართველოში სარგებლობს პატივისცემითა და სიმპათიით. ყურადღების ღირსია ფედერალური მთავრობის მიერ განვითარების პოლიტიკის სფეროში, განსაკუთრებით კი ენერგომომარაგების დარგში გაწეული საქმიანობა. აღიარებულია გერმანიის მონაწილეობა საერთაშორისო სამუშაოვლო საქმიანობაში, რომლის მიზანია არის აფხაზეთის რეგიონალური კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარება.

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 13 აპრილს.



თანამშრომლობის ძირითადი
სფეროები:

პირველი ქართულ-გერმანული ურთიერთობები სახელმწიფოთაშორის დონეზე ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს (1918-1921 წწ.) უკავშირდება. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა გერმანიასთან, ინტენსიურად განვითარდა თანამშრომლობა პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, თავდაცვის, კულტურისა და განათლების სფეროებში. ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურება უწყებათაშორისი თანამშრომლობა, რომელიც ასევე დინამიურად ვითარდება. საქართველო და გერმანია აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებშიც. საქართველოსა და გერმანიას შორის ხელმოწერილია 70-ზე მეტი შეთანხმება, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობა და ურთიერთდაცვა, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება, თავდაცვა, ტექნიკური თანამშრომლობა, ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის

წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. ქვეყნებს შორის ხშირად ხორციელდება უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. გერმანიის ფედერალური კანცლერის მიწვევით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2014 წლის მაის-ივნისში ზედიზედ ორჯერ სტუმრობდა ბერლინს. საქართველოს პარლამენტში შექმნილია გერმანიასთან მეგობრობის საპარლამენტთაშორისო ჯგუფი, ხოლო გერმანიის ბუნდესტაგში - სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების საპარლამენტთაშორისო ჯგუფი. აქტიურად ვითარდება ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები. გერმანიასა და საქართველოს შორის მრავალმხრივი და ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გერმანული ფირმების ინვესტიციები საქართველოში და ასევე ქართველი მეწარმეების საქმიანობა გერმანიაში. 2007 წლის სექტემბრიდან საქართველოში ფუნქციონირებს გერმანული ფირმების კავშირი. მასში გაერთიანებული არიან საქართველოს ბაზარზე მოღვაწე გერმანელი მეწარმეები, რომლებსაც საერთო ინტერესები აკავშირებთ. საკმაოდ დიდია დაინტერესება საქართველოს მხრიდან, რომ დამყარდეს საქმიანი კავშირები

გერმანულ ფირმებთან, რაც ადასტურებს იმ განსაკუთრებულ ნდობას, რომელიც არსებობს გერმანული პროდუქციისა და გერმანული ფირმების მიმართ და რომელიც მომავალში კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს. ქართული და გერმანული მხარეების მიერ ორგანიზებული ბიზნეს-ფორუმები მიზნად ისახავს გერმანიის საქმიანი წრეების დაინტერესებას საქართველოს ეკონომიკური პოტენციალით. ამავე მიზანს ემსახურება საქართველოში მოქმედი გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება, რომელსაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობის სტატუსი აქვს. საქართველოში მრავალი წელია აქტიურად მოღვაწეობს გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოება (GIZ), რომელიც ახორციელებს პროექტებს მდგრადი განვითარების, დემოკრატიის, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების, კანონის უზენაესობის, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში. აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა გერმანიის წამყვან პოლიტიკურ (ფრიდრიხ ებერტის, კონრად ადენაუერის, ჰაინრიხ ბიოლის, ფრიდრიხ ნაუმანის) ფონდებთან. კონრად ადენაუერის ფონდის ორგანიზებით დაფუძნდა ქართულ-გერმანული სტრატეგიული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოსა და

გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები და ა.შ. მრავალფეროვანია ქართულ-გერმანული თანამშრომლობა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში, რასაც ემსახურება როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში ორგანიზებული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები, განხორციელებული და მიმდინარე პროექტები (მაგალითად, საქართველოს კულტურის დღეები ბერლინის ევროპულ კულტურათა მუზეუმში, გერმანულ-ქართული სამეცნიერო ფორუმი, მუსიკალური, კინო და სხვა ტიპის ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები, საქართველოში გერმანული დასახლებების დაარსების 200 წლის იუბილე 2017 წელს, საქართველოში დასული გერმანული წიგნების გადაცემა გერმანიისთვის და ა.შ.). საქართველოში ასევე წარმოდგენილია რეგიონული მნიშვნელობის გოეთეს ინსტიტუტი და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური. გერმანული ფონდებისა და ინსტიტუტების ხელშეწყობით, ქართველ სტუდენტებსა და მეცნიერებს ეძლევათ განათლების მიღებისა და სამეცნიერო საქმიანობის შესაძლებლობა გერმანიის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.



თბილისი-ზაარბრუკენი



შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ თბილისსა და საარბრუკენს შორის 1975 წელს დაიდო. ეს იყო პირველი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა დასავლეთგერმანულ და საბჭოურ ქალაქებს შორის. ჯერ კიდევ 1974 წლის 11 ივნისს საარბრუკენის საკრებულომ ერთხმად გადაწყვიტა თბილისთან დაძმობილების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. 1975 წლის 22 მარტს ქალაქ საარბრუკენის მერმა ოსკარ ლაფონტენმა და მისმა თბილისელმა კოლეგამ ხელი მოაწერეს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც გერმანულ და რუსულ ენებზე იყო შედგენილი. ხელშეკრულებაში ქართული ენა არ ფიგურირებდა. მიუხედავად ამისა, მაშინდელი გერმანული პრესა ამ ფაქტის შესახებ წერდა: რკინის ფარდას ნაპრალი გაუჩნდა.

ორ ქალქს შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადადის. 1976 წლის საარლანდის კვირეული თბილისში, მეგობრობის ზეიმად იქცა. ასეთი „კვირეულები“ უკვე სისტემატიურად იმართება. ყოველივე ამისაგან დამოუკიდებლად საარის მხარეში მიემგზავრებიან: სინფონიური და კამერული ორკესტრები, მომღერალთა სხვადასხვა გუნდები და თეატრალური დასები, მწერლები, პიანისტები, კომპოზიტორები, კინოს მოღვაწეები, ასევე პანტომიმის თეატრის მსახიობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლე ახალგაზრდობის გაცვლით პროგრამებს. ათი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად საარბრუკენსა და თბილისს ერთმანეთის მონაცვლეობით 30 კაციანი ჯგუფი სტუმრობს, პროგრამის მონაწილენი რამდენიმე დღით ადგილობრივ ოჯახებში ცხოვრობენ- კომუნისტური



ეპოქისათვის თითქმის წარმოუდგენელი რამ მოხდა. 1975 წლის ნოემბერში მთავარი როლი ორ ქალაქს შორის თანამშრომლობის საქმეში მაშინდელმა საარბრუკენის მერმა ოსკარ



ლაფონტენმა იტვირთა. თავის გამოსვლებს მუდამ თან ახლავს არც თუ ისე მოკლე ქართულ ენაზე შედგენილი დამამთავრებელი სიტყვა, რასაც ქართული პუბლიკის აღფრთოვანება მოჰყვებოდა ხოლმე. მისი ინიციატივით დაძმობილებულ ქალაქებს კიდევ ერთი, საარბრუკენის პარტნიორი ფრანგული ნანტი დაემატა, რაც სამივე ქალაქში საზეიმოდ აღინიშნა. 1986 წლის 22 სექტემბერს ოსკარ ლაფონტენმა ან უკვე საარლანდის პრემიერ-მინისტრმა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ ოთარ ჩერქეზიამ ხელი მოაწერეს ამჯერად ორ ქვეყანათა შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას. ქალაქი საარბრუკენი მრავალმხრივ დახმარებას უწევს თავის პარტნიორ ქალაქს. დღესდღეობით ორ ქალაქს შორის ურთიერთობა კვლავ გრძელდება და დიდი წვლილი შეაქვთ გერმანიასა და საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებში.

გერმანიის რეგიონები და ქალაქები

გერმანია (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა) ცენტრალური ევროპის უდიდესი ქვეყანაა. მისი მეზობელი ქვეყნებია:

ჩრდილოეთით – დანია;
აღმოსავლეთით –
პოლონეთი და ჩეხეთი;
სამხრეთით – ავსტრია
და შვეიცარია;

დასავლეთით –
ბელგია, საფრანგეთი,
ჰოლანდია და ლუქსემბურგი.
გერმანია 16 ფედერაციისგან
შედგება. თითოეულ მათგანს
საკუთარი, დანარჩენებისგან
განსხვავებული კულტურა
აქვს.

დედაქალაქი: ბერლინი
სახელმწიფო წყობა:
ფედერალური რესპუბლიკა
ვალუტა: ევრო €
ენა: გერმანული
გერმანიის ყოველი რეგიონი
განსხვავებული კლუტრის
კერაა. პირველი, რაც
ტურისტს გერმანიაზე
საუბრისას გახსენდება,
არის ლუდი, ლედერჰოესნი
(ტყავის მოკლე შარვალი),
ოქტობერფესტი და სხვა.
ყველაზე ცნობილი ლუდის
კულტურის კერა ბარვარია და
მიუნხენია.

გერმანიაში ყველაზე
პოპულარული და
ტურისტებისთვის საყვარელი
ყოველწლიური ფესტივალი
ოქტობერფესტი. სამხრეთ-
დასავლეთ რეგიონებში
ენყობა ყველაზე მასშტაბური
ლვინის ფესტივალიც,
რომელსაც ყოველწლიურად
600 000 სტუმარი ჰყავს.
როგორც წესი, გერმანელები
მეგობრულები არიან, მაგრამ



სტერეოტიპი, რომ ისინი
ცივი და უხეში ხალხია,
ხშირად მართლდება
კიდევ. უბრალოდ, იყავით
ზრდილობიანები და თქვენი
ვიზიტი გერმანიაში მშვიდად
ჩაივლის.

კლიმატი
გერმანია მოქცეულია
დასავლეთ ევროპის ოკეანურ
და აღმოსავლეთ ევროპის
კონტინენტურ კლიმატებს
შორის. გერმანიის
ჰავაზე გავლენას ახდენს
ჩდრილო- ატლანტიკური და
გოლფსტრიმის დინებები.
საშუალო წლიური ნალექი
789 მმ-ს აღწევს. ზმთარი
რბილია, ხოლო ზაფხული,
როგორც წესი, თბილი
(ტემპერატურა 30°C აღწევს).
აღმოსავლეთ გერმანიაში
მეტად კონტინენტური ჰავაა
გავრცელებული, შესაბამისად
ზამთარი შედარებით
მკაცრია, ხოლო ზფხული
კი – ცხელი. ცენტრალურ
და სამხრეთ გერმანიაში
ერთმანეთს ერწყმის
კონტინენტური და ოკეანური
ჰავა.

ალპურ რეგიონებში
გავრცელებულია მთის
ჰავა, რომელიც დაბალი
ტემპერატურითა და ნლექის
დიდი რაოდენობით
ხასიათდება.
რეგიონები

ჩრდილოეთ
გერმანია(ბრემენი, ჰამბურგი,

ქვემო საქსონია, მეკლენბურგი
– დასავლეთ პომერანია,
შლიზვიგი – ოლშტინი).
ჩრდილოეთ გერმანიაში
მოქცეულია „ქარიანი მთები“
და ჩრდილოეთ ზღვისა და
ბალტიის ზღვის ცნობილი
კურორტები.

დასავლეთ გერმანია
(ჩრდილო რაინ – ვესტფალია,
რაინლენდ – პალატინატი,
საარლენდი). დასავლეთ
გერმანია წარმოადგენს
ლვინის მხარეს. მის
ტერიტორიაზე მოქცეულია
რაინლენდისა და მოზეილს
მდელოები.

ცენტრალური გერმანია(ჰესე,
ტურიგია). ეს არის გერმანიის
მწვანე გული, რამდენიმე
მნიშვნელოვანი ისტორიული
ქალაქითა და ტურიგიანის
ტყით.

აღმოსავლეთ გერმანია
(ბერლინი, ბრანდერბურგი,
საქსონია, საქსონია –
ანჰოლტი). აღმოსავლეთ
გერმანია გამოკვეთილია,
რადგან მის ტერიტორიაზეა
გერმანიის ექსცენტრიული
და ისტორიული დედაქალაქი
ბერლინი, ასევე დრეზდენი,
იგივე „ფლორენცია
ელბაზე“ („Florenz an der
Elbe“).

სამხრეთ გერმანია(ბადენ
– ვუტემბერგი, ბავარია).
სამხრეთ გერმანიის
ტერიტორიაზეა შავი ტყე,
ფრანკონიური შვეიცარია,



ფრანკონიური ტბის უბანი, ბავარიული ტყე, ბავარიული ალპები და ტბა „კონსტანცია“. გერმანიის მნიშვნელოვანი ქალაქები
ბერლინი - ერთიანი და განახლებული გერმანიის დედაქალაქი დიდი ისტორიის მქონე ქალაქია. „ცივი ომის“ პერიოდში ეს ქალაქი ცნობილი იყო თავისი სამმართველოთი. დღეისათვის ბერლინი არის მრავალფეროვანი მეგაპოლისი თანამედროვე კლუბებით, სავაჭრო ცენტრებით, გალერეებითა და კვების ობიექტებით. ბრემენი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი ჩრდილო გერმანიაში, რომელიც ჰანზის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.
კიოლნი – ეს ქალაქი დაარსებულ იქნა რომაელების მიერ 2000 წლის წინ. აქ მდებარეობს უზარმაზარი საკათედრო ტაძარი, რომანული ეკლესიები და არქეოლოგიური სანახაობები. დრეზდენი – ახლა მას ასე უწოდებენ – „ფლორენცია ელბაზე“. იგი ცნობილია ფრაუენკირხის ისტორიული ცენტრით, ოპერის თეატრით, დრეზდენის გალერეით.



დუსელდორფი – გერმანიის მოდის დედაქალაქი. ეს ქალაქი ასევე საინტერესოა არქიტექტურისა და აქტიური ლამის ცხოვრების მხრივ. ფრანკფურტი – აქ არის ევროპის ცენტრალური ბანკი, ხოლო ქალაქის პეიზაჟი მანჰეტენს მოგაგონებთ. ჰამბურგი – გერმანიის უმდიდრესი და სიდიდით რიგით მეორე ქალაქი. იგი ცნობილია თავისი ნავსადგურით, ლიბერალური და ტოლერანტული კულტურით, ლამის კლუბებითა და კაზინოებით (რიპერბანის გაყოლებათზე). მიუნხენი – ბავარიის ულამაზესი დედაქალაქი, საკვანძო წერტილი ალპებისკენ მიმავალ გზაზე და ოქტობერფესტის მასშინძელი ქალაქი. საქსონიის ულამაზესი მხარის ერთ-ერთი გამორჩეული და ცნობილი ქალაქია ლეიფციგი. ლეიფციგი საქსონიის მიწაზე ყველაზე დიდი ქალაქია – ფართობით დაახლოებით თბილისის ზომის. მოსახლეობა შეადგენს 510000 ადამიანზე მეტს. 1165 წელს ლეიფციგს მიენიჭა ქალაქის წოდება. ლეიფციგი საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე ქალაქია. იქ დაიბადა უამრავი მსოფლიოში ცნობილი გერმანელი. როგორც გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში, ლეიფციგშიც ცენტრი საკმაოდ მცირე ზომისაა, სადაც განლაგებულია ლირსშესანიშნაობების უმეტესობა: სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები და სხვა. ქალაქში ძველი არქიტექტურული ძეგლები და თანამედროვე შენობები

ერთმანეთთან სასიამოვნოდ არის შეხამებული და მთლიანობაში ქალაქს თავისებურ ლამაზ ელფერს სძენს. ლეიფციგი საკმაოდ მდიდარია ლირსშესანიშნაობებით. ქალაქში არის ზოოპარკი, რომელიც სხვა ზოოპარკებისაგან თითქმის არაფრით გამოირჩევა, თუმცა ბევრისთვის უცნობი ფაქტია, რომ იგი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი აკვარიუმისა და ყველაზე დიდი და მრავალფეროვანი პრიმატების კოლექციის პატრონია. ლეიფციგის უნივერსიტეტი მთელ მსოფლიოში ცნობილია და, შეიძლება ითქვას, თვითონ ქალაქის ცნობადობაც უმეტესად სწორედ უნივერსიტეტის დამსახურებაა. იგი დაარსდა 1409 წელს და დღეს 14 სხვადასხვა ფაკულტეტი გააჩნია. გერმანიაში ლეიფციგის უნივერსიტეტი სიძველით მეორე ადგილზეა ჰეიდელბერგის კარლ რუპრეხტის სახელობის უნივერსიტეტის შემდეგ. წმინდა მოციქული თომას ეკლესია, სადაც მუშაობდა იოჰან სებასტიან ბახი. სწორედ ამ ეკლესიაშია გერმანელი კომპოზიტორი დაკრძალული.



გერმანიის ადმინისტრაციული დაყოფა

გერმანია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად იყოფა 16 ფედერაციულ მხარედ (Bundesland), მათ შორის 5 აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე შეიქმნა, დანარჩენი — დასავლეთ გერმანიაში. მიწები იყოფა რაიონებად (გერ: Kreis) და დამოუკიდებელი ქალაქები (გერ: Kreisfreie Stadt), ჰამბურგის და ბერლინის მიწები-ოლქებად (გერ: Bezirk), რაიონები-ქალაქებად (გერ: Stadt) და თემებად (გერ: Gemeinde), დამოუკიდებელი ქალაქები-დასახლებებად (გერ: Ortschaft), ჰამბურგის და ბერლინის მიწების ოლქები-ადგილობრივ კვარტლებად (გერ: Ortsteil), ქალაქებად, თემებად, დასახლებებად (გერ: Wohngebiet). ბავარიას აქვს შუალედური რგოლი მიწებს, რაიონებს-ოლქებს შორის (გერ: Bezirk). გერმანიის მიწების საკანონმდებლო ორგანოებს წარმოადგენს ლანდტაგები (Landtag) (ჰამბურგსა და ბერლინში-ბიურგერშაფტები (bürgerschaft), ბერლინში-დეპუტატების პალატა), რომლებსაც ირჩევს მოსახლეობა, აღმასრულებელი ორგანოები-მიწების მთავრობა (Landesregierung) (ბრემენში, ჰამბურგში და ბერლინში-სენატები (senat)), თითოეული მათგანი შედგება მიწების პრემიერ-მინისტრისაგან (Landesministerpräsident) (ბერლინში-მმართველი ბურგომისტრი, ჰამბურგში-პირველი ბურგომისტრი)

და მიწების მინისტრები (Landesminister) (ბერლინში, ბრემენში და ჰამბურგში-სენატორები), რომლებიც ინიშნებიან ლანდტაგების მიერ. თითოეულ მიწას აქვს თავისი კონსტიტუცია და შეუძლიათ გარკვეულ საკითხებზე მიიღონ მიწების კანონები.

რაიონების წარმომადგენლობითი ორგანოებია კრეისტაგები (kreistag), რომლებსაც ირჩევს მოსახლეობა, აღმასრულებელი ორგანოები-რაიონის კომიტეტები (kreis-ausschuss), თითოეული მათგანი შედგება ლანდრატისგან (Landrat) და რაიონული კომიტეტის წევრებისგან. რეინლანდ-პფალცში ასევე არსებობს რაიონული გამგეობა (kreisvorstand), რომელიც შედგება ლანდრატისა და რაიონული ასისტენტებისაგან (kreisbeigeordneter). ქალაქების წარმომადგენლობითი ორგანოებია მუტადტრატები (stadtrat) (გეანდენბურგში-ლაქონარმომადგენლორბები (verordnetenversammlung), გოლშტეინში-დამეკლენბურგში-ქალაქების წარმომადგენლობა (stadvertretung), რომელსაც ირჩევს მოსახლეობა, აღმასრულებელი ორგანოები-ბურგომისტრები (გესენში-მაგისტრატები (magistrat), რომლებიც შედგება ბურგომისტრისა და მაგისტრატინეწვრებ. თემების არმომადგენლობითი ორგანოებია - გემაინდერატები (gemeinderat) (გესენში, ბრანდენბურგში, მეკლენბურგში და შლეზვიგ-გოლშტეინში-თემების წარმომადგენლები (gemeindevvertretung)), რომლებსაც ირჩევს მოსახლეობა, აღ-

მასრულებელი ორგანოები-ბურგომისტრები (გესენში თემების გამგეობები (gemeindevorstand), რომლებიც შედგება ბურგომისტრისა და თემების გამგეობების წევრებისაგან.).



ბერლინისა და ჰამბურგის მიწების ოლქების წარმომადგენლობითი ორგანოებია უფლებამოსილთა საოლქო კრებები ბერლინში (bezirksverordnetenversammlung) ან საოლქო კრებები (bezirksversammlung) ჰამბურგში, აღმასრულებელი ორგანოები-საოლქო გამგეობები (bezirksamt), რომლებიც შედგება ოლქის ბურგომისტრისაგან (bezirksbürgermeister) და ოლქის გამგეობის წევრებისაგან. დასახლებების წარმომადგენლობითი ორგანოებია საბჭოები (ortschaftsrat), რომლებსაც ირჩევს მოსახლეობა, აღმასრულებელი ორგანოები-დასახლებების ბურგომისტრები.






ქალაქები

გერმანიის ყველაზე დიდი ქალაქებია ბერლინი, ჰამბურგი, მიუნხენი და კიოლნი თავისი მნიშვნელობით და მოსახლეობის რაოდენობით მეხუთე მსხვილი ქალაქი და ფინანსური მეტროპოლიაა მაინის ფრანკფურტი. ფრანკფურტის აეროპორტი ყველაზე დიდია გერმანიაში და მესამეა ევროპაში. რურის ბასეინი-ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია გერმანიაში.

სასამართლო

სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში გერმანიის ტერიტორია იყოფა მიწებად და ოლქებად (თითოეულზე მიწის უმაღლესი მოსამართლე, ამასთან ერთად, საერთო, შრომითი და ფინანსური მოსამართლეები ინიშნება მიწების და ოლქების მიხედვით, ან ოლქების ჯგუფების მიხედვით. ადმინისტრაციული და სოციალური მოსამართლეები მხოლოდ მიწების მიხედვით), რეგიონები (region, თითოეულზე ერთი მიწის მოსამართლე) და უბნები (amt, თითოეულზე ერთი საუბნო მოსამართლე).

ბავარიის მხარე



ბავარია (Bayern) — მხარე გერმანიაში. მდებარეობს რაინის აუზში. 1918 წელს იგი რესპუბლიკად გამოცხადდა, როდესაც ბავარიის უკანასკნელი მეფე ლუდვიგ III გადადგა ტახტიდან .

- ფართობი - 70.549 კმტ,
- მოსახლეობა - 12 522 მლნ.
- ქალაქები (ათ.) – მიუნხენი (1.251), ნიურნბერგი (498), აუგსბურგი (264).
- ცნობილი ადამიანები – ადოლფ ჰიტლერი, რიხარდ შტრაუსი, ფრანც-იოზეფ შტრაუსი.
- თავისებურებები – ეკონომიური ცენტრია მიუნხენი, სადაც განლაგებულია ბმვ და სიმენსი. ფრანკონიის რაიონს (ცენტრი ნიურნბერგში) აქვს ფედერაციის სუბიექტად გახდომის სურვილი.

მიუნხენი (გერმ. München, ბავარ. Minga) — ბავარიის თავისუფალი მხრის დედაქალაქი. 1,35 მილიონი მაცხოვრებლით მიუნხენი ბავარიის უდიდესი და გერმანიის სიდიდით მესამე

ქალაქია ბერლინისა და ჰამბურგის შემდეგ. ითვლება ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ, სატრანსპორტო და კულტურულ ცენტრად. მიუნხენს გააჩნია თვითმმართველი თავისუფალი ქალაქის სტატუსი და წარმოადგენს ზემო ბავარიის ადმინისტრაციულ ცენტრს.



ქალაქის დაყოფა

1992/96 წლებში ქალაქის ახალი დაყოფის მიხედვით ქალაქი შემდეგ 25 რაიონად იყოფა:

- ალახ-უნთერმენცინგი
- ძველი ქალაქი-ლეჰელი

- აუბინგ-ლოხჰაზენ-ლანგვიდი
- აი-ჰაიდჰაუზენი
- მთა ლაიმზე
- ბოგენჰაუზენი
- ფელდმოხინგ-ჰაზენბერგლი
- ჰადერნი
- ლაიმი
- ლუდვიგსფორშტადტ-იზარფორშტადტი
- მაქსფორშტადტი
- მილბერტჰოფენ-ამ ჰარტი
- მოოზახი
- ნოიჰაუზენ-ნიმფენბურგი
- ზემო გისინგი
- პასინგი-ობერმენცინგი
- რამერსდორფ-პერლახი
- შვაბინგ-ფრაიმაი
- შვაბინგ-ვესტი
- შვანთალერის შემალეება
- ზენდინგი
- ზენდინგ-დასავლეთ პარკი
- თალკირხენ-ობერზენდლინგ-ფორსტენრიდ-ფუერსტენრიდ-ზოლნი
- ტრუდერინგ-რიემი
- ქვემო გისინგი-ჰარლახინგი



ნიურნბერგი (გერმ. N uren-berg) — ქალაქი გერმანიაში. მდებარეობს ბავარიის ცენტრალურ ნაწილში. მდინარე პეგნიცზე. ნიურნბერგი ბავარიის მეორე ქალაქია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მიუნხენის შემდეგ და მე-14 გერმანიაში. ფრანკონიის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. ფიურთთან, შვაბახთან და ერლანგენთან ერთად ქმნის ნიურნბერგის აგლომერაციას.



ბამბერგი (გერმ. Bamberg) — ქალაქი გერმანიაში, ბავარიაში. მდებარეობს ზემო ფრანკონიის მხარეში, მდინარე რეგნიცისა და მაინის შერწყმის ადგილზე. ბამბერგი ერთ-ერთია იმ რამდენიმე გერმანულ ქალაქს შორის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს არ დანგრეულა და ხელუხლებლად შეინარჩუნა ისტორიული მემკვიდრეობა. ამის მიზეზი მის სიახლოვეს მდებარე საარტილერიო ქარხანაა, რომელიც გამანადგურებლებს ქალაქის დაბომბვის საშუალებას არ აძლევდა. მოსახლეობა 2009 წლის მონაცემებით 69 827 ადამიანს შეადგენს, საიდანაც 7 000 უცხოური წარმოშობისაა, მათ შორისაა აშშ-ის არმიის 4 100 წევრი. ბამბერგი რომის მსგავსად 7 ბორცვზე მდებარეობს, ამიტომ შუა საუკუნეებში მას „გერმანულ რომს“ ეძახდნენ. ქალაქის კათედრალში დაკრძალულია რომის პაპი კლემენტ II, ერთადერთი პაპი, რომელიც ალპების ჩრდილოეთით განისვენებს. 1647 წელს, ქალაქში დაარსდა ბამბერგის უნივერსიტეტი, რომელსაც იმ დროისათვის ბამბერგის აკადემია ეწოდებოდა.

აუგსბურგი (გერმ. Augsburg) — საუნივერსიტეტო ქალაქი გერმანიაში, ბავარიის მხარეში. შვაბიის დედაქალაქი. იგი მდებარეობს ალპების მთისწინეთში, მდინარეების ლეხისა და ვერტახის (დუნაის აუზი) შესართავთან. 2010 წლის მონაცემებით, მისი მოსახლეობა 264 708 კაცს შეადგენს. ქალაქი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მესამეა ბავარიაში მიუნხენისა და ნიურნბერგის შემდეგ.

ისტორია


ქალაქი დაარსდა ძვ.წ. 15 წელს რომაული სამხედრო ბანაკის ადგილას. VI ს.-დან იგი იყო ეპოსკოპოსის რეზიდენცია. 1276 წ. მოიპოვა თავისუფალი საიმპერიო ქალაქის უფლებები. XV-XVI ს.ს. აუგსბურგი წარმოადგენდა გერმანიის ალორძინების კერას, მნიშვნელოვან სავაჭრო-საფინანსო ცენტრს და სხვ. 1534-1538 წ.წ. ქალაქი მოიცვა რეფორმაციამ, ხოლო 1555 წ. აქ დაიდო აუგსბურგის რელიგიური ზავი. ფაშისტური გერმანიის პერიოდში აუგსბურგი იყო მნიშვნელოვანი სამხედრო-



სამრეწველო ცენტრი. კერძოდ, აქ მდებარეობდა ცნობილი "მესერშმიტის" ქარხნები. 1945-49 წ.წ. აუგსბურგი ამერიკის საოკუპაციო ზონაში შედიოდა.

აუგსბურგი (გერმ. Augsburg) — საუნივერსიტეტო ქალაქი გერმანიაში, ბავარიის მხარეში. შვაბიის დედაქალაქი. იგი მდებარეობს ალპების მთისწინეთში, მდინარეების ლეხისა და ვერტახის (დუნაის აუზი) შესართავთან. 2010 წლის მონაცემებით, მისი მოსახლეობა 264 708 კაცს შეადგენს. ქალაქი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მესამეა ბავარიაში მიუნხენისა და ნიურნბერგის შემდეგ.

არქიტექტურა



აუგსბურგის არქიტექტურულ ძეგლთაგან აღსანიშნავია XII-ის რომანული ტაძარი, რომელიც 1326-1431 წ.წ. ნაწილობრივ გადაკეთდა გოთური სტილის ტაძრად. ქალაქში მდებარეობს ალორძინების ხანის მნიშვნელოვანი ნაგებობანი. კერძოდ, ბანკირ ფუგერების კაპელა (1509-1517 წ.წ.), ი. ფუგერის სახლი (1512-1515 წ.წ.), რატუშა (1615-1620 წ.წ.), ხელოსანთა

დასახლება "ფუგერაი" (1516-236 წ.წ.), რომელიც შედგება რეგულარული სისტემით განლაგებული 53 ტიპობრივი ორსართულიანი სახლისგან და სხვ.



ჰამბურგი (Hambourg) — ქალაქი ჩრდილოეთ გერმანიაში, ისტორიულად ჰანზის თავისუფალი ქალაქი, დაარსებულია 889 წელს. გერმანიის სიდიდით მეორე ქალაქი ჰამბურგი ფედერალური მხარეცაა და ქვეყნის ყველაზე დიდი საოკეანო პორტიც.

ენები გერმანიაში

გერმანიაში ლიტერატურულ და საქმიან ენად ითვლება გერმანული ენა, მაგრამ გერმანულ ენასთან ერთად გერმანელები საუბრობენ სხვადასხვა დიალექტზე (10 ძირითად და 50 ლოკალურ დიალექტზე, რომლებზეც ასევე მეტყველებენ მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა). თვითონ დიალექტები ძლიერ განსხვავდება ლიტერატურული ენისაგან. არსებობს შერეული დიალექტები. გამოკვლევებით დადგინდა რომ გერმანიაში 6 მილიონ

ადამიანზე მეტი საუბრობს რუსულ ენაზე, 2.1 მილიონი საუბრობს თურქულად, 720 000 ყოფილი იუგოსლავიის ენაზე, 612 000 კი იტალიურად.

რელიგია გერმანიაში

1919 წლიდან გერმანიაში რელიგია კონსტიტუციურად დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან. გერმანიის კონსტიტუციით აღიარებულია აღმსარებლობის თავისუფლება. გერმანელების უმრავლესობა ქრისტიანია, ამათგან 32,4% კათოლიკეა, 32% ლუთერანი, 1,14% კი მართლმადიდებელია. გერმანია გაქრისტიანდა ფრანკთა მმართველობის დროს. მათ გამაქრისტიანებლად ითვლება წმიდა ბენიფაცი. იგი იყო ეპისკოპოსი, რომელმაც გააქრისტიანა გერმანელთა უმრავლესობა. წმ. ბენიფაცი მოკლეს კერპთაყვანისმცემლებმა 754 წელს. მე_16 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში დაიწყო ეკლესიური რეფორმები, რომელსაც საფუძვლად ედო ულირიხ ცვინგლისა და მარტინ ლუთერის სწავლებანი. რეფორმაციებმა გამოიწვიეს რელიგიური ომები, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 30 წლიანი ომი (1618_1648). გერმანია გაიყო კათოლიკურ და პროტესტანტულ რეგიონებად. იყო წესი რომ ფეოდალი თავის მიწაზე განაგებდა თუ რომელი რელიგია იქნებოდა, კათოლიკობა თუ პროტესტანტობა.



კულტურა გერმანიაში

გერმანიის კულტურა საკმაოდ მრავალფეროვანია. მისი კულტურა მოიცავს ავსტრიის კულტურას, რომელიც მისგან პოლიტიკურად დამოუკიდებელია.

გერმანიაში კულტურული ცხოვრება და ფასეულობები არ არიან თავმოყრილნი ერთ ან რამდენიმე ქალაქში, არამედ მოიცავს მთელ ქვეყანას.

გერმანიის კულტურა ჩამოყალიბდა უმთავრესად ინტელექტუალური და პოპულარული დინებებით ევროპაში. ისტორიულად, გერმანიას უწოდებდნენ პოეტებისა და მოაზროვნეების მიწას. ფედერაციული სახელმწიფო განაგებს კულტურულ ინსტიტუტებს. გერმანიაში არის 240 თეატრი, ასობით სიმფონიური ორკესტრი, ათასობით მუზეუმი და 250 000-ზე მეტი ბიბლიოთეკა. აღნიშნულ კულტურულ ობიექტებს უამრავი მნახველი ჰყავს. მაგალითად, გერმანულ მუზეუმებს ყოველწლიურად 91 მილიონი ადამიანი სტუმრობს 20 მილიონი ადამიანი დადის თეატრებსა და ოპერებში, 3,6 მილიონი უსმენს სიმფონიურ ორკესტრას. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შესულია გერმანიის 36 ძეგლი.

გერმანიას ბევრი საღვთო დონის გენდერული თანასწორობა, ხელს უწყობს უნაროთა უფლებებს, ლეგალურია და სოციალურად შემწყნარებელი ჰომოსექსუალების მიმართ. გეებსა და ლესბოსელებს კანონიერად შეუძლიათ შვილად აიყვანონ ბავშვები 2001 წლიდან. გერმანიამ შეცვალა დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ; 1990 წლებიდან მთვრობამ და გერმანელების უმრავლესობამ გააცნობიერეს, რომ გააკონტროლონ იმიგრაცია, რომელიც დაფუძნებული იქნება კვალიფიციურ სტანდარტებზე. 2010 წელს, გერმანიამ დაიკავა მეორე ადგილი, როგორც ყველაზე ფასეულმა ერმა 50 ქვეყანას შორის.

დღესასწაულები გერმანიაში არის, როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო დღესასწაულები, ზოგიერთი მათგანი ითვლება დასვენების დღეებად მთელ ქვეყანაში, ზოგი კი მხოლოდ რამოდენიმე ქვეყნის ნაწილში ითვლება დასვენების დღედ. ზოგიერთ დღესასწაულს აქვს დიდი ისტორია დაფუძნებული ძველ წესებსა და რელიგიურ დღესასწაულებზე. ზოგიერთი მათგანი აღნიშნულია კალენდარში უქმე დღედ. დღესასწაულები, რომლებსაც მთელი გერმანია აღნიშნავს არის ახალი წელი(1 იანვარი), 3 მეფის დღე(6 იანვარი), შრომის დღე(1 მაისი), გერმანიის გაერთიანების დღე(3 ოქტომბერი), წმინდა ნიკოლოზის დღე(6 დეკემბერი) და შობა(25-26 დეკემბერი).

რატომ ვისწავლოთ გერმანული

უცხო ენის შესწავლა ყოველთვის სასარგებლოა. ენა კომუნიკაციის საშუალებაა როგორც კერძო, ასევე კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების სფეროებში. გარდა ამისა, უცხო ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებული კარიერისათვის დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში.

რატომ

ვისწავლოთმაინცდამაინც გერმანული?

გერმანია, როგორც მსოფლიოში მესამე ქვეყანა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მიმზიდველია ინვესტორებისა და მკვლევარებისათვის და საერთაშორისო დონეზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. სწორედ ამიტომ საქვეყნოდ ცნობილია სასაქონლო ნიშანი „Made in Germany“. გერმანული ენის გავლენა ფართოდ სცდება გერმანიის საზღვრებს. იგი ოფიციალური ენაა ავსტრიაში და ასევე ბელგიის, იტალიის, ლიხტენშტაინის, ლუქსემბურგისა და შვეიცარიის გარკვეულ მხარეებში. ასე რომ, გერმანული ენის შესწავლის გადამწყვეტილება ევროპულ არჩევანს ნიშნავს! გერმანული მსოფლიოში

მეორე ენაა ბიზნესის სფეროში. დღესაც გერმანული ენის ცოდნა განსაკუთრებულ უნარად მიიჩნევა. ვინც გერმანული ენის შესწავლაზე აკეთებს არჩევანს, მას ეძლევა უნიკალური შესაძლებლობები, მიაღწიოს წარმატებას დღევანდელ მსოფლიოში. გერმანულენოვან ქვეყნებს უმდიდრესი ტრადიციები გააჩნიათ განთლების დარგში. ისინი მსოფლიოში განთქმულნი არიან სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კუთხით. ამიტომაც მთელი მსოფლიოდან უამრავი სტუდენტი ჩადის სასწავლებლად ამ ქვეყნებში. ამჟამად გერმანიაში ყოველი მეათე სტუდენტი უცხოელია. შეისწავლეთ გერმანული ენა და შეაღეთ ამ უდიდესი კულტურის კარი, სადაც უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების დიდი არჩევანი დაგხვდებათ. გაიცანით ამ ხალხის ხელოვნება, კულტურა, ტრადიციები, სურვილები და ოცნებები. თქვენ თავად დარწმუნდებით მეცნიერებისა და კვლევების სფეროში პროფესიული კარიერის იმ უნიკალურ პერსპექტივებში, რომელსაც გერმანული ენის ცოდნა გთავაზობთ. იმედი მაქვს, რომ ეს გვერდი დაგეხმარებათ გერმანული ენის შესწავლის

გადანყვეთილების მიღებაში. იგი ასევე გაგიადვილებთ რეალურად შეაფასოთ ის შანსები, რომელსაც გერმანული ენის შესწავლა პირადად თქვენ გთავაზობთ. გისურვებთ წარმატებებს გერმანული ენის სწავლაში! ორთვინ ჰენიგიგერმანიისდ ედერაციულირესპუბლიკის ელჩი საქართველოში



გერმანული ენა ციფრებში

გერმანული ენა იძლევა კომუნიკაციის შესაძლებლობას 125 მილიონ ადამიანთან მსოფლიოში. თითქმის 15 მილიონი ადამიანი სწავლობს ყოველწლიურად გერმანულ ენას. მხოლოდ იაპონიაში მოსწავლეთა 68% სწავლობს გერმანულს.

ინგლისური ენის შემდეგ გერმანული ყველაზე გავრცელებული ენაა ევროკავშირში. ევროკავშირის 495 მილიონი მაცხოვრებელიდან მეოთხედი გერმანულ ენაზე ლაპარაკობს.

გერმანული ევროპის შვიდ სახელმწიფოში ოფიციალური ენაა:



გერმანიაში, ავსტრიაში და ასევე ბელგიის, იტალიის, ლიხტენშტაინის, ლუქსემბურგისა და შვეიცარიის გარკვეულ მხარეებში.

თითქმის 250.000 უცხოელი სტუდენტი სწავლობს ამჟამად გერმანიის უნივერსიტეტებში, რაც გერმანიის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 11,5 პროცენტს შეადგენს. გერმანული - ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის ენა

